



შპს ლერმონტ

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	6
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	10
2. მომზადების საფუძვლები	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები.....	12
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	12
5. ძირითადი საშუალებები	15
6. მარაგები.....	16
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16
8. ფული და ფულის ეკვივალენტები	17
9. სესხები.....	17
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	17
11. ამონაგები.....	17
12. სხვა საოპერაციო ხარჯები.....	18
13. წმინდა ფინანსური ხარჯი.....	18
14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	18
15. პირობითი ვალდებულებები	18
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	18
17. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	19

მმართველობის ანგარიშგება	24
--------------------------------	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ლერმონტის“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას

აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ლერმონტის“ (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღებით დამთავრებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების მოძრაობის ანგარიშგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხის ეფექტის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ლერმონტის“ ფინანსურ მდგომარეობას 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღებით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2020, 2019 და 2018 წლის საანგარიშგებო პერიოდში, კომპანიის დირექტორზე, რომელიც ამავდროულად არის კომპანიის 20% იანი წლის მფლობელი, მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით გაცემულია შესაბამისად 228,000; 635,000 და 576,000 ლარი, რაც მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარდგენილია პერსონალის ხარჯებში. ჩვენ ვერ შევძელით, საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულებების მოპოვება აღნიშნული განაცემების კლასიფიკაციასთან დაკავშირებით, რათა დაგვედგინა, დირექტორზე განაცემის ნაწილი წარმოდგენდა თუ არა კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში წარსადგენ დამფუძნებელთან განხორციელებულ ოპერაციას. ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები პერსონალის ხარჯებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში, მიღებული გვექონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს და საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონტრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო საფუძვლის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავაძლავილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი

ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობებები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2020 და 2019 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლების ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

6 იანვარი, 2021

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ლერმონტის“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას

აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ლერმონტის“ (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღებით დამთავრებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების მოძრაობის ანგარიშგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხის ეფექტის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ლერმონტის“ ფინანსურ მდგომარეობას 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღებით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2020, 2019 და 2018 წლის საანგარიშგებო პერიოდში, კომპანიის დირექტორზე, რომელიც ამავდროულად არის კომპანიის 20% იანი წლის მფლობელი, მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით გაცემულია შესაბამისად 228,000; 635,000 და 576,000 ლარი, რაც მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარდგენილია პერსონალის ხარჯებში. ჩვენ ვერ შევძელით, საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულებების მოპოვება აღნიშნული განაცემების კლასიფიკაციასთან დაკავშირებით, რათა დაგვედგინა, დირექტორზე განაცემის ნაწილი წარმოადგენდა თუ არა კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში წარსადგენ დამფუძნებელთან განხორციელებულ ოპერაციას. ჩვენ ვერ შევძელით განგვსაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები პერსონალის ხარჯებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში, მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს და საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონტრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო საფუძვლის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვს ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი

აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაა დეკლარირებული იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადგბსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2020 და 2019 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლების ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:



ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

6 იანვარი, 2022

შპს ლერმონტ

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019	2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	15,602,566	16,335,332	16,945,902
არამატერიალური აქტივები		29,199	31,402	43,584
		15,631,765	16,366,734	16,989,486
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	6	206,211	310,406	348,090
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	14,622	164,943	319,769
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	68,504	533,628	683,965
		289,337	1,008,977	1,351,824
სულ აქტივები		15,921,102	17,375,711	18,341,310
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
დაგროვილი ზარალი		(9,351,649)	(3,374,188)	(1,614,723)
		(9,351,649)	(3,374,188)	(1,614,723)
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სესხები	9	25,011,904	20,554,298	19,743,441
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	260,847	195,601	212,592
		25,272,751	20,749,899	19,956,033
სულ ვალდებულებები		25,272,751	20,749,899	19,956,033
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		15,921,102	17,375,711	18,341,310

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 6 იანვარს შემდეგი პირის მიერ:

გენერალური დირექტორი _____ დავით კუპრაშვილი

ფინანსური მენეჯერი _____ ვასილ მარდალეიშვილი

შპს ლერმონტ**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარიში)

	შენიშვნა	2020	2019	2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	15,602,566	16,335,332	16,945,902
არამატერიალური აქტივები		29,199	31,402	43,584
		15,631,765	16,366,734	16,989,486
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	6	206,211	310,406	348,090
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	14,622	164,943	319,769
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	68,504	533,628	683,965
		289,337	1,008,977	1,351,824
სულ აქტივები		15,921,102	17,375,711	18,341,310
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
დაგროვილი ზარალი		(9,351,649)	(3,374,188)	(1,614,723)
		(9,351,649)	(3,374,188)	(1,614,723)
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სესხები	9	25,011,904	20,554,298	19,743,441
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	260,847	195,601	212,592
სულ ვალდებულებები		25,272,751	20,749,899	19,956,033
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		15,921,102	17,375,711	18,341,310

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დაბეჭდილებულია 2021 წლის 6 იანვარს შემდეგი პირის მიერ:

გენერალური დირექტორი



დავით კუპრაშვილი

ფინანსური მენეჯერი



ვასილ მარდალაშვილი

შპს ლერმონტ

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019	2018
ამონაგები	11	1,693,951	8,436,085	8,716,191
მარაგების ხარჯი		(697,529)	(2,014,620)	(1,937,230)
პერსონალის ხარჯები		(1,303,087)	(3,005,607)	(3,001,816)
ცვითის ხარჯი	5	(738,207)	(728,771)	(754,742)
სხვა საოპერაციო ხარჯები	12	(549,227)	(2,212,059)	(1,941,085)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(1,594,099)	475,028	1,081,318
წმინდა საპროცენტო ხარჯი	13	(839,366)	(872,649)	(760,605)
წმინდა ზარალი საკუთროსო სხვაობიდან		(3,543,996)	(1,361,844)	(523,791)
წმინდა ზარალი		(5,977,461)	(1,759,465)	(203,078)
სხვა სრული შემოსავალი		-	-	-
სრული ზარალი		(5,977,461)	(1,759,465)	(203,078)

შპს ლერმონტ**კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება**

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	დაგროვილი ზარალი	სულ
31 დეკემბერი 2017	(1,411,645)	(1,411,645)
სრული ზარალი	(203,078)	(203,078)
31 დეკემბერი 2018	(1,614,723)	(1,614,723)
სრული ზარალი	(1,759,465)	(1,759,465)
31 დეკემბერი 2019	(3,374,188)	(3,374,188)
სრული ზარალი	(5,977,461)	(5,977,461)
31 დეკემბერი 2020	(9,351,649)	(9,351,649)

შპს ლერმონტ

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან				
წმინდა ზარალი		(5,977,461)	(1,759,465)	(203,078)
კორექტირებები:				
ცვეთის ხარჯი	5	738,207	728,771	754,742
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი/აღდგენა	12	(8,057)	102,680	104,842
წმინდა საპროცენტო ხარჯი	13	839,366	872,649	760,605
ზარალი გრელვადიანი აქტივების გასვლიდან		4,947	10,478	-
წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან		3,543,996	1,361,844	523,791
		(859,002)	1,316,957	1,940,902
სამუშაო კაპიტალის ცვლილება:				
მარაგების (ზრდა)/კლება		104,195	37,684	(78,230)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/კლება		158,534	(27,122)	(127,937)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(კლება)		56,335	(16,198)	1,642,162
		(539,938)	1,311,321	3,376,897
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან				
ძირითადი საშუალებების შეძენა		(8,185)	(92,272)	(413,604)
ძირითადი საშუალებების გასვლა		-	40,020	-
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	-	(10,119)
		(8,185)	(52,252)	(423,723)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან				
მიღებული სესხები	9	66,024	-	-
სესხების დაფარვა	9	-	(1,431,230)	(2,790,970)
ფინანსური იჯარის გადახდა	9	-	-	(41,653)
		66,024	(1,431,230)	(2,832,623)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)		(482,099)	(172,161)	120,551
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	8	533,628	683,965	543,461
საკურსო სხვაობის გავლენა		16,975	21,824	19,953
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	8	68,504	533,628	683,965

შპს ლერმონტ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ლერმონტ“ (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2015 წლის 28 ოქტომბრის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია ძველი თბილისის რაიონი, ლერმონტოვის ქ.#10, 0112 თბილისი, საქართველო. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის სასტუმროს, სარესტორნოსა და მასთან დაკავშირებული სხვა სერვისის გაწევა.

2020, 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 80% და 20% ფლობდნენ გენადი იუფიკი და დავით კუპრეიშვილი, შესაბამისად.

2. მომზადების საფუძველები

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ, განაგრძონ საქმიანობა საქართველოში.

2020 წლის მარტის თვიდან კომპანიამ დროებით შეაჩერა საოპერაციო საქმიანობა, საქართველოს მთავრობის მიერ COVID-19 პანდემიის გავრცელების შემცირების მიზნით გამოცემული მითითებისა და ბრძანებების შესაბამისად. დაწყებული რეგულაციებისა და შეზღუდვების გათვალისწინებით კომპანიამ საქმიანობა განაახლა 2020 წლის აგვისტოდან. ამ მოვლენებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა კომპანიის შემოსავლებზე, საოპერაციო შედეგებსა და ფულადი სახსრების შემოღინებაზე.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სასესხო დავალიანება შეადგენს 25,011,904 ლარს (იხ. შენიშვნა 9). სესხები მიღებულია დაკავშირებული მხარისგან და ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელი იყო 2021 წლის ნოემბერში. გამსესხებელთან მოლაპარაკების შედეგად 2021 წლის ნოემბერში განახლდა სესხის ხელშეკრულების ვადა, რომლის შესაბამისად სესხის ძირის და პროცენტის დაფარვის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის ნოემბრში. ხელმძღვანელობის შეფასებით კომპანია ვერ შეძლებს სასესხო დავალიანების სრულად დაფარვას ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრებით. ხელმძღვანელობის მოლოდინით, კომპანია შეძლებს სასესხო ვალდებულებების გადახდის გრაფიკის განახლებას გამსესხებელთან მოლაპარაკებების საფუძველზე და აღნიშნული არ წარმოადგენს არსებით განუსაზღვრელობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობამ მოამზადა კომპანიის ფინანსური პროგნოზი ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში, რომელშიც გაითვალისწინა მოვლენათა უარყოფითი განვითარების შესაძლო სცენარები, რომელიც გულისხმობდა უარყოფითი გავლენის ისეთი დონის გამოკვლევას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის ფუნქციონირების შეწყვეტა. შეფასებისას გაითვალისწინეს COVID-19 პანდემიის გავლენის ანალიზი კომპანიის საქმიანობაზე, ლიკვიდურობასა, და დაფინანსებაზე. ამის საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებული არ არის არსებით განუსაზღვრელობასთან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე კოვიდ 19-ით გამოწვეული შეზღუდვების შემსუბუქების შედეგად, კომპანიამ მნიშვნელოვნად ადაღინა საოპერაციო საქმიანობა და შემოსავლის გენერირება.

შპს ლერმონტ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარში)

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები

ა) 2019 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

ახალი სტანდარტი, რომელმაც გამოიწვია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება და რომლის საფუძველზეც მომზადებულია 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ფასს 16-ს იჯარა. ფასს 16 ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან, რომელმაც ჩაანაცვლა ბასს 17 – „იჯარა“ და ფასი 4 – „როგორ განვსაზღვროთ შეიცავს თუ არა კომპონენტი იჯარას“. ფასს 16-ის შესაბამისად მიღებული იჯარა აღიარდება, როგორც აქტივი და ვალდებულება. ფასს 16 ითვალისწინებს გამარტივებულ მიდგომას იმ საიჯარო ხელშეკრულებებისთვის, რომელთა ვადა 12 თვეზე ნაკლებია ან რომელიც უკავშირდება დაბალი ღირებულების მქონე აქტივის იჯარას. გაცემული საიჯარო ხელშეკრულებების აღრიცხვისთვის ფასს 16-ის მოთხოვნები არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის მოთხოვნებისგან. კომპანია იყენებს ფასს 16-ს 2019 წლის 1 იანვრის თარიღით თუმცა 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის კომპანიას არ აქვს საიჯარო საქმიანობა, როგორც მოიჯარეს. შესაბამისად, ფასს 16-ის დანერგვას არ მოუხდენია არსებითი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ა) 2020 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

2020 წლის 1 იანვრის შემდეგ შევიდა ძალაში რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (შესწორება - ბიზნესის განმარტება);
- საპროცენტო განაკვეთის ზღვრის რეფორმა - IBOR „ფაზა 2“ (შესწორება - ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7);
- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - არსებითის განმარტება);
- ფინანსური ანგარიშგების განახლებული კონცეპტუალური საფუძვლები, და
- COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა (ფასს 16-ის ცვლილებები).

ბ) გამცემული და ჯერ ძალაში არ შესული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, IASB-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ გამოცემა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში და რომლებზეც კომპანიამ გადაწყვიტა არ მიეღო ნაადრევად. 2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში); და
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის ცვლილებები).

2020 წლის იანვარში, IASB-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში, რომელიც აზუსტებს კრიტერიუმებს ვალდებულებების კლასიფიკაციისთვის მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, ვალდებულების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიცირება დამოკიდებულია, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს თუ არა კომპანიას უფლება გადაავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. შესწორებები ასევე აზუსტებს, რომ „ვალდებულების დაფარვა“ მოიცავს ფულადი სახსრების, საქონლის, მომსახურების ან წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემას, თუ წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემის ვალდებულება არ წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის შემადგენელი გადაცემის პირობით, რომელიც კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, ვალდებულების კომპონენტისგან განცალკევებით. ცვლილებები თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2022 წლის 1 იანვარს და აქტიური იქნებოდა შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში. თუმცა, 2020 წლის მაისში ბასს 1-ის ცვლილებების ამოქმედების თარიღი გადავადდა 2023 წლის 1-ლ იანვრამდე. კომპანია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე. ხელმძღვანელობის შეფასებით, ბასს 1-ში შესულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე, რადგან მისი სავალო ინსტრუმენტები არ მოიცავს კონვერტაციის პირობას.

შპს ლერმონტ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

ხელმძღვანელობა შეიმუშავებს სააღრიცხვო შეფასებებსა და გადაწყვეტილებებს მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

3.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

3.2 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია პერიოდულად აფასებს აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებადობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, კომპანია აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის კომპანია აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- საპროცენტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა საკმევანობებთან ერთად, კომპანია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში. წინა პერიოდის შემდეგ არ მომხდარა არსებითი ცვლილება რისკების მართვისა და შეფასების მეთოდებში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები, როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები. ცხრილი გვიჩვენებს ფინანსური ინსტრუმენტების ძირითად კატეგორიებს.

	2020	2019	2018
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,559	131,378	221,216
ფული და ფულის ეკვივალენტები	68,504	533,628	683,965
სულ ფინანსური აქტივები	71,063	665,006	905,181
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	27,760	116,276	159,991
სესხები	25,011,904	20,554,298	19,743,441
სულ ფინანსური ვალდებულებები	25,039,664	20,670,574	19,903,432

შპს ლერმონტ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული);
- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირი ან არაპირდაპირი ემპირიული მონაცემების მიხედვით, როგორცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს;
- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე. თუ პირველ და მეორე დონეებში აღწერილი ემპირიული ფასები არ არსებობს, მაშინ ხდება შეფასების სხვა მეთოდების გამოყენება.

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით. რეალური ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებას. კომპანია ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება გამომდინარეობს ფულადი სახსრების ნაკადის ღირებულებიდან, რომელიც დისკონტირებულია ფულის ბაზრის მიმდინარე იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის ფინანსური ინსტრუმენტებისათვის. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომელიც არის ლიკვიდური და ხასიათდება მოკლევადიანობით, როგორც არის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ვალდებულებები, უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას. ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით, სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განსაზღვრულია მესამე დონის საფუძველზე.

მიღებული სესხების მესამე დონის მიხედვით, შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი სესხებისთვის მერყეობს 7.5%-დან 8.5%-მდე, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს. სესხების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

კაპიტალის მართვა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რათა უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემით, აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდითა და არსებული სესხების დაფარვით.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და

შპს ლერმონტ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს არანაირ წარმოებულ ინსტრუმენტებს სავალუტო რისკის მართვისთვის. ცხრილი გვიჩვენებს უცხოურ ვალუტაში არსებულ ფინანსურ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას.

	2020		2019		2018	
	აშშ დოლარი	ევრო	აშშ დოლარი	ევრო	აშშ დოლარი	ევრო
ფული და ფულის ეკვივალენტები	45,364	-	25,903	31,298	279,635	190,538
სესხები	(19,106,193)	(5,905,711)	(16,024,082)	(4,530,216)	(15,593,921)	(4,149,520)
წმინდა სავალუტო პოზიცია	(19,060,829)	(5,905,711)	(15,998,179)	(4,498,918)	(15,314,286)	(3,958,982)

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობელობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით. ცხრილი გვიჩვენებს გავლენას წმინდა მოგებაზე.

	აშშ დოლარი/ლარი + 20%	აშშ დოლარი/ლარი - 20%	ევრო/ლარი + 20%	ევრო/ლარი - 20%
მოგება/(ზარალი) 2020	(3,812,166)	3,812,166	(1,181,142)	1,181,142
მოგება/(ზარალი) 2019	(3,199,636)	3,199,636	(899,784)	899,784
მოგება/(ზარალი) 2018	(3,062,857)	3,062,857	(791,796)	791,796

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია არ დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიას არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა). კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლსა და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცემების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიძნელეების არსებობას. მაღალრისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე. ფინანსური აქტივების

შპს ლერმონტ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. ცხრილი გვიჩვენებს საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობას.

	2020	2019	2018
ფული და ფულის ეკვივალენტები გარდა ნაღდი ფულის	57,251	510,457	587,514
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურების გამოკლებით	2,559	131,378	221,216
სულ	59,810	641,835	808,730

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური ვალდებულებების კატეგორიების ლიკვიდურობის ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი დაფარვა. ამ ცხრილებში წარმოდგენილი თანხები შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებს, რადგან ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს, რაც უთითებს ხელშეკრულების მიხედვით დარჩენილ მთლიან დაუდისკონტირებელ გადახდებს საპროცენტო დავალიანების ჩათვლით.

1 წლამდე	2020	2019	2018
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (1-3 თვე)	27,760	116,276	159,991
სესხები - (12 თვე)	26,840,171	22,056,733	21,240,553
სულ	26,867,931	22,173,009	21,400,544

5. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა	აღჭურვილობა და ტექნიკა	სასტუმროს ინვენტარი	სამზარეულოს და რესტორნის აღჭურვილობა	ავტო მობილები	გამწვანება	სხვა	სულ
31.12.2017	2,490,000	10,471,922	2,327,576	822,577	1,009,320	209,761	133,498	265,164	17,729,818
შემოსვლა	-	40,982	138,774	83,522	72,805	35,013	14,744	65,298	451,138
31.12.2018	2,490,000	10,512,904	2,466,350	906,099	1,082,125	244,774	148,242	330,462	18,180,956
შემოსვლა	-	-	19,453	23,082	38,770	62,660	-	12,552	156,517
გასვლა	-	-	(2,848)	(321)	(99)	(45,596)	-	(4,404)	(53,268)
31.12.2019	2,490,000	10,512,904	2,482,955	928,860	1,120,796	261,838	148,242	338,610	18,284,205
შემოსვლა	-	-	2,902	3,600	1,683	-	-	-	8,185
გასვლა	-	-	(5,855)	(2,723)	-	-	-	(23,969)	(32,547)
31.12.2020	2,490,000	10,512,904	2,480,002	929,737	1,122,479	261,838	148,242	314,641	18,259,843
დაგრივლი ცვთა									
31.12.2017	-	(206,737)	(75,842)	(75,587)	(90,294)	(13,161)	(6,675)	(12,016)	(480,312)
ცვთა	-	(219,107)	(212,412)	(127,549)	(121,081)	(14,049)	(7,043)	(53,501)	(754,742)
31.12.2018	-	(425,844)	(288,254)	(203,136)	(211,375)	(27,210)	(13,718)	(65,517)	(1,235,054)
ცვთა	-	(210,258)	(220,136)	(145,421)	(89,914)	(14,043)	(2,965)	(46,034)	(728,771)
გასვლა	-	-	2,739	191	53	8,356	-	3,613	14,952
31.12.2019	-	(636,102)	(505,651)	(348,366)	(301,236)	(32,897)	(16,683)	(107,938)	(1,948,873)
ცვთა	-	(210,258)	(222,818)	(148,833)	(86,998)	(16,432)	(2,965)	(49,903)	(738,207)
გასვლა	-	-	5,250	2,426	-	-	-	22,127	29,803
31.12.2020	-	(846,360)	(723,219)	(494,773)	(388,234)	(49,329)	(19,648)	(135,714)	(2,657,277)
საბალანსო ღირებულება									
31.12.2018	2,490,000	10,087,060	2,178,096	702,963	870,750	217,564	134,524	264,945	16,945,902
31.12.2019	2,490,000	9,876,802	1,977,304	580,494	819,560	228,941	131,559	230,672	16,335,332
31.12.2020	2,490,000	9,666,544	1,756,783	434,964	734,245	212,509	128,594	178,927	15,602,566

შპს ლერმონტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

6. მარაგები

	2020	2019	2018
საკვები და სასმელი მარაგები	188,197	267,467	272,213
სტუმრებისთვის განკუთვნილი მარაგები	13,145	24,817	25,127
სხვა მარაგები	4,869	18,122	50,750
სულ	206,211	310,406	348,090

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2020	2019	2018
სავაჭრო მოთხოვნები	5,185	240,642	246,895
სხვა მოთხოვნები	-	-	68,104
საექვო ვალების რეზერვი	(2,626)	(109,264)	(93,783)
წმინდა ფინანსური მოთხოვნები	2,559	131,378	221,216
წინასწარ გადახდილი გადასახადები	-	-	24,982
ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები	-	-	64,245
სხვა ავანსები	12,063	33,565	9,326
სულ არაფინანსური მოთხოვნები	12,063	33,565	98,553
სულ მოთხოვნები	14,622	164,943	319,769

კომპანია იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად, მოთხოვნები დაჯგუფდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. კომპანიამ გაითვალისწინა COVID-19 პანდემიის გავლენა სხვადასხვა სეგმენტებზე. მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთები ეფუძნება კომპანიის ბოლო სამი წლის საკრედიტო გაუფასურების გამოცდილებას. ისტორიული მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთი დაკორექტირდა არსებული და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს კომპანიის მომხმარებლებზე. კომპანია ითვალისწინებს მთლიანი შიდა პროდუქტის, უმუშევრობის და ინფლაციის დონეს, როგორც ძირითად მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, იმ ქვეყნისთვის სადაც კომპანია საქმიანობს.

ცხრილი გვიჩვენებს სავაჭრო მოთხოვნების ვადაგადაცილებას და მოსალოდნელი გაუფასურების ანარიცხს.

		2020		2019		2018	
	რეზერვის პროცენტი	მოთხოვნა	რეზერვი	მოთხოვნა	რეზერვი	მოთხოვნა	რეზერვი
დაკავშირებული მხარე	20%	-	-	-	-	68,104	(13,621)
მიმდინარე:	1%	1,200	(12)	98,323	(983)	102,363	(1,024)
30 დღეზე ნაკლები	10%	5	(1)	12,994	(1,299)	32,523	(3,252)
31-90 დღე	30%	433	(130)	27,492	(8,248)	21,432	(6,430)
91-180 დღე	50%	-	-	5,977	(2,989)	33,391	(16,696)
181-365 დღე	70%	3,547	(2,483)	370	(259)	14,752	(10,326)
365 დღეზე მეტი	100%	-	-	95,486	(95,486)	42,434	(42,434)
სულ		5,185	(2,626)	240,642	(109,264)	314,999	(93,783)
გაუფასურების რეზერვი		(2,626)		(109,264)		(93,783)	
წმინდა მოთხოვნები		2,559		131,378		221,216	

ცხრილი გვიჩვენებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის მოძრაობას.

	2020	2019	2018
ბალანსი წლის დასაწყისში	(109,264)	(93,783)	(36,967)
მიმდინარე პერიოდის (გაუფასურება)/აღდგენა	8,057	(102,680)	(104,842)
ჩამოწერა	98,581	87,199	48,026
ბალანსი წლის ბოლოს	(2,626)	(109,264)	(93,783)

შპს ლერმონტ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2020	2019	2018
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	45,364	57,201	470,173
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	11,887	453,256	117,341
ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	11,253	23,171	96,451
სულ	68,504	533,628	683,965

9. სესხები

	2020	2019	2018
სესხები დომინირებული დოლარში	19,106,193	16,024,082	15,593,921
სესხები დომინირებული ევროში	5,905,711	4,530,216	4,149,520
სულ	25,011,904	20,554,298	19,743,441

ცხრილი გვიჩვენებს მიღებული სესხების მოძრაობას

	2020	2019	2018
1 იანვარი	20,554,286	19,743,441	21,208,338
სესხების აღება	66,024	-	-
საპროცენტო ხარჯი	1,797,759	1,624,080	1,503,401
მოგება სესხის საწყისი აღიარებიდან	(958,393)	(751,431)	(735,493)
სესხების დაფარვა	-	(1,431,230)	(2,790,970)
ფინანსური იჯარის გადახდა	-	-	(41,653)
საკურსო სხვაობის გავლენა	3,552,228	1,369,438	599,818
31 დეკემბერი	25,011,904	20,554,298	19,743,441

სესხები მიღებულია დაკავშირებული მხარისგან 1 წლიანი პერიოდით. ხელშეკრულების შესაბამისად სესხის ძირი და პროცენტი გადასახდელი არის წლის ბოლოს ნოემბერში. 2020, 2019, და 2018 წლებში გამსესხებელთან მოლაპარაკების შედეგად განახლდა სესხის ხელშეკრულების ვადა მომდევნო წლის ნოემბრის ბოლომდე. ხელმძღვანელობის შეფასებით სესხები მიღებულია საბაზროზე დაბალ პროცენტში. ხელმძღვანელობა სესხის პროლონგაციას განიხილავს, როგორც ხელშეკრულების პირობების მნიშვნელოვან ცვლილებას და შესაბამისად რესტრუქტურისაციის დღეს სესხის აღიარებისას იყენებს განახლებულ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს, რომელიც შეესაბამება საბაზრო განაკვეთს. მიღებული სესხების ნომინალურ და რეალურ ღირებულებას შორის სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალში, როგორც მოგება სესხის საწყისი აღიარებიდან.

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2020	2019	2018
სავაჭრო ვალდებულებები	27,760	113,281	124,144
გადასახდელი ხელფასები	-	2,995	35,847
სულ ფინანსური ვალდებულებები	27,760	116,276	159,991
სახელშეკრულებო ვალდებულება*	12,571	48,440	52,601
საგადასახადო ვალდებულებები	220,516	30,885	-
სულ არაფინანსური ვალდებულებები	233,087	79,325	52,601
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	260,847	195,601	212,592

*სახელშეკრულებო ვალდებულება სრულად აღიარდა ამონაგებად შემდგომ საანგარიშგებო პერიოდში. სახელშეკრულებო ვალდებულების ნაშთი წარმოადგენს მიმდინარე პერიოდში მიღებულ სახელშეკრულებო თანხას, რომლისთვის არ არის შესრულებული სახელშეკრულებო ვალდებულება.

11. ამონაგები

	2020	2019	2018
ამონაგები სასტუროდან მომსახურებიდან	764,575	6,063,396	6,150,380
ამონაგები რესტორნის მომსახურებიდან	929,376	2,372,689	2,565,811
სულ	1,693,951	8,436,085	8,716,191

შპს ლერმონტ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარში)

12. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2020	2019	2018
ჯავშნის საკომისიო	(60,035)	(479,025)	(413,098)
სარეკლამო და მუსიკალური გაფორმების ხარჯი	(79,441)	(274,545)	(250,885)
კომუნალური ხარჯი	(154,891)	(255,248)	(255,963)
დასუფთავების და ქიმიკატების ხარჯი	(34,746)	(228,496)	(232,306)
საგადასახადო ხარჯი	(19,790)	(302,327)	(159,014)
საბაკო ხარჯი	(43,384)	(143,507)	(97,527)
მიმდინარე რემონტის ხარჯი	(57,455)	(73,109)	(88,788)
ტრანსპორტების ხარჯი	(13,378)	(50,306)	(41,708)
საკონსულტაციო ხარჯი	(1,980)	(49,345)	(52,277)
საკომუნიკაციო ხარჯი	(16,276)	(31,162)	(25,967)
საიჯარო ხარჯი	(12,560)	(18,986)	(18,957)
სხვა	(63,348)	(203,323)	(199,753)
	(557,284)	(2,109,379)	(1,836,243)
ფინანსური აქტივების გაუფასურების აღდგენა/(ხარჯი)	8,057	(102,680)	(104,842)
სულ	(549,227)	(2,212,059)	(1,941,085)

13. წმინდა ფინანსური ხარჯი

	2020	2019	2018
საპროცენტო ხარჯი	(1,797,759)	(1,624,080)	(1,503,401)
მოგება სესხის საწყისი აღიარებიდან	958,393	751,431	735,493
საპროცენტო შემოსავალი	-	-	7,303
სულ	(839,366)	(872,649)	(760,605)

14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს და საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს. ცხრილი გვიჩვენებს ოპერაციებს და ნაშთებს დაკავშირებულ მხარეებთან.

	2020	2019	2018
სესხები	25,011,904	20,554,298	19,743,441
საპროცენტო ხარჯი	1,797,759	1,624,080	1,503,401
მოგება სესხის საწყისი აღიარებიდან	(958,393)	(751,431)	(735,493)

უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურებას 2020, 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგენს შესაბამისად 252,037, 683,918 და 623,732 ლარს.

15. პირობითი ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულებები - 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სახელშეკრულებო ვალდებულებები.

სასამართლო დავები - 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიას ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში. სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიამ დაფარა 622,800 ლარის მოცულობის სესხი და გამსესხებელთან მოლაპარაკების შედეგად 2021 წლის ნოემბერში განახლდა სესხის ხელშეკრულების ვადა, რომლის შესაბამისად სესხის ძირის და პროცენტის დაფარვის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის ნოემბერში.

შპს ლერმონტ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარში)

17. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

17.1 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგების ან ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი საკურსო მოგება და ზარალი წარდგენილია მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნეტო სიდიდით. ცხრილი გვიჩვენებს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებულ გაცვლით კურსებს.

	დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6727	3.0597

17.2 ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანია აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- ამონაგების აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და ამონაგების აღიარების დროულობა

კომპანიის ამონაგების ძირითად ნაწილს წარმოადგენს მომხმარებლებისათვის სასტუმრო - რესტორნის და მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდება. დეტალური სააღრიცხვო პოლიტიკა ამონაგების მაფორმირებელი ძირითადი საქმიანობისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

- ამონაგები რეგულარული მომსახურების მიწოდებიდან, როგორც არის სასტუმროს მომსახურება და სხვა დაკავშირებული მომსახურებები, აღიარდება დროთა განმავლობაში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა მომსახურების მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველდღიური ღირებულების შესაბამისად.
- ამონაგები საკვები და სასმელის მიწოდებიდან და სხვა ერთჯერადი მომსახურებიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს. გარიგების ღირებულების გადახდა ხდება დაუყოვნებლივ, როდესაც ხდება მომხმარებლის მიერ საქონლის შესყიდვა. აქედან გამომდინარე, ამონაგების აღიარება ხდება იმ დროს, როდესაც ფიზიკური მფლობელობა გადაეცემა მომხმარებელს ან ერთჯერადი მომსახურება არის მიწოდებული.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

შპს ლერმონტ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

17. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

კომპანიის კონტრაქტების უმეტესი ნაწილი არის ფიქსირებულფასიანი. დიდი მოცულობის შეკვეთის შემთხვევაში ფასდაკლების შეთავაზებისას, ოპერაციის ფასი ერთეული პროდუქტისთვის/მომსახურებისთვის გაიანგარიშება მთლიანი საკონტრაქტო ღირებულების გაყოფით აქტივის/მომსახურების რაოდენობაზე. როდესაც მომხმარებელი უკვეთავს ერთზე მეტ პროდუქტს/მომსახურებას, კომპანია მთლიან საკონტრაქტო ფასს თითოეულ პროდუქტზე/მომსახურებაზე ანაწილებს მათი ინდივიდუალური გასაყიდი ფასის მიხედვით (ყველა პროდუქცია/მომსახურება შეიძლება გაიყიდოს ცალკე).

გამოყენებული გათავისუფლება

კომპანიამ გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

17.3 იჯარა

კომპანია მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში იყენებს გათავისუფლებას. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელებს. კომპანიას არ აქვს გრძელვადიანი იჯარები.

17.4 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

17.5 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

17.6 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა	50
აღჭურვილობა და ტექნიკა	5-20
სასტუმროს ინვენტარი	5-8
სამზარეულოს და რესტორნის აღჭურვილობა	5-10
სატრანსპორტო საშუალებები	6-15
გამწვანება	50
სხვა	5-15

შპს ლერმონტ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

17. მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივ დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ცხრილი გვიჩვენებს ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადებს.

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

17.7 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე, რომელიც შეადგენს 5 წელს. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების უსასრულო ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი. სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს.

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

17.8 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი

შპს ლერმონტ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

17. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

17.9 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

17.10 ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

17.11 პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღება მოსალოდნელი.

17.12 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები) ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია

შპს ლერმონტ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

17. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად სხვა საოპერაციო ხარჯების მუხლში მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს საღირსოში არსებულ ფულს, მოთხოვნამდე დეპოზიტებს, სხვა მოკლევადიან მაღალი სიხშირით ინვესტიციებს, რომლის დასრულების ვადაც განისაზღვრება სამი ან ნაკლები თვით.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთგადაფარავს მაშინ, როდესაც ურთიერთგადაფარვა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

17.13 ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარდება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლა, აქტივების შემცირება ან ვალდებულებების ზრდა, რომლის საიმედოდ შეფასებაც შესაძლებელია.

ფიქსირებული და ცვლადი ხელფასის, ბონუსის და სხვა არაფულადი სარგებლის ხარჯის დარიცხვას კომპანია ახორციელებს იმ საანგარიშგებო პერიოდში, რომელშიც თანამშრომელმა კომპანიას მოცემული სერვისი მიაწოდა.

17.1 საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საკუთარი კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საკუთარი კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საკუთარი კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

მმართველობის ანგარიშგება

შპს ლერმონტ

2020 და 2019 წელი

სარჩევი:

კომპანიის საქმიანობის აღწერა, განვითარების გეგმები და ძირითადი მაჩვენებლები:.....	26
კომპანიის სტრატეგია და მიზნები.....	26
ინფორმაცია ფილიალების შესახებ	27
კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	27
კომპანიის ძირითადი მიღწევები და ფინანსური შედეგების მიმოხილვა	27
კომპანიის მმართველობა და სტრუქტურა	27
ინფორმაცია წილის და აქციების შეძენის შესახებ.....	28
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	28

შპს ლერმონტ

მმართველობის ანგარიშგება

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

კომპანიის საქმიანობის აღწერა, განვითარების გეგმები და ძირითადი მაჩვენებლები:

შპს „ლერმონტ“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2015 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია ძველი თბილისის რაიონი, ლერმონტოვის ქ.#10, 0112 თბილისი, საქართველო. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის სასტუმრო, სარესტორნო და მასთან დაკავშირებული სხვა სერვისების გაწევა.

შპს „ლერმონტ“-ის საკუთრებაში არსებულ შენობაში, რომელიც განთავსებულია თბილისში, ლერმონტოვის 10-ში, 2017 წლის 1 ივნისიდან ფუნქციონირებს სასტუმრო „იოტა ჰოტელ“-ი (IOTA HOTEL), შენობის პირველ და ბოლო სართულებზე განთავსებულია რესტორნები „იოტა გარდენი“ - 121 სტუმრის ადგილით და „ლუმელი“ - 126 სტუმრის ადგილით, ასევე შენობის -1 სართულზე ფუნქციონირებს სამი საკონფერენციო დარბაზი (სულ საკონფერენციო დარბაზები იტევს 250 სტუმარს).

სასტუმრო „იოტა ჰოტელ“-ი თბილისის სასტუმროების ბაზრის სეგმენტში ოპერირებს როგორც ადგილობრივი (არა უცხოური ბრენდი) მაღალი კლასის 5 ვარსკვლავიანი სასტუმრო. სასტუმროში განთავსებულია 90 სხვადასხვა ზომისა და კატეგორიის ნომერი. კომპანია ასევე ახორციელებს სასტუმროსთვის დამახასიათებელი სხვა დამატებით მომსახურებების გაწევას (მაგ: ტრანსფერი, სპორტული დარბაზის მომსახურება, ტანსაცმლის რეცხვის მომსახურება და სხვა.).

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები

	2020	2019	2018
კომპანიის მიერ მოყვანილი ინფორმაცია მმართველობის ანგარიშგებაში			
სასტუმროს ოთახების საშუალო წლიური დატვირთულობა (Room Occupancy)*	9%	63%	67%
საშუალო შემოსავალი ერთ სტუმარზე, ლარი **	224	193	184
სულ სტუმრების რაოდენობა	3,411	31,365	33 408
სულ გაყიდული ოთახები (Rooms sold)	2,885	20,761	22 033
ნომრის საშუალო დღიური ღირებულება (ADR) ლარი***	265	292	279
ნომრის საშუალო დღიური ღირებულება (ADR) USD (ეროვნული ბანკის კურსის შესაბამისად 31,12,2019-2020)	85	104	106
შემოსავალი ერთ ნომერზე (Revpar) ლარი****	23	185	187
შემოსავალი ერთ ნომერზე (Revpar) USD (ეროვნული ბანკის კურსის შესაბამისად)	7	65	71
შემოსავალი სასტუმროდან და მასთან დაკავშირებული მომსახურებიდან, ლარი	764,575	6,063,396	6,150,380
შემოსავალი რესტორნიდან და მასთან დაკავშირებული მომსახურებიდან, ლარი	929,376	2,372,689	2,565,811

შენიშვნა: ზემოთ მოცემული მაჩვენებლები გაიანგარიშება ქვემოთ მოცემული ფორმულების გამოყენებით.

* სასტუმროს გაყიდულ ოთახების რაოდენობა გაყოფილი (სრული დღეების რაოდენობა X არსებული ოთახების რაოდენობაზე). მაგ: გაყიდული ოთახების რაოდენობა / (365 დღე X 90 ნომერი);

** შემოსავალი სასტუმროდან და მასთან დაკავშირებული მომსახურებიდან / სტუმრების რაოდენობაზე;

*** ნომრის საშუალო დღიური ღირებულება (ADR): შემოსავალი სასტუმროს ოთახებიდან / გაყიდული ოთახების რაოდენობაზე

**** შემოსავალი ერთ ნომერზე (Revpar) : შემოსავალი სასტუმროს ოთახებიდან / არსებულ ოთახების რაოდენობაზე.

კომპანიის სტრატეგია და მიზნები

წინამდებარე ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე. კომპანიის მენეჯმენტსა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია საქართველოში, როგორც დღევანდელი დღისთვის კომპანიის საკუთრებაში არსებული სასტუმროსა და რესტორნების, ასევე მომავალში დამატებით ფილიალების განვითარების საფუძველზე. კომპანიის განვითარების ძირითად მოტივად შესაძლებელია მივიჩნიოთ ქვეყანაში საერთაშორისო მოგზაურთა მიერ განხორციელებული ვიზიტების და ასევე, ვიზიტორების მიერ გაწეული დანახარჯების ყოველწლიური ზრდის ტენდენცია (საქართველოს ტურიზმის ეროვნული

შპს ლერმონტ

მმართველობის ანგარიშგება

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარში)

ადმინისტრაციის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია).

კომპანია აქტიურად ადევნებს თვალს როგორც სასტუმრო ასევე სარესტორნო ბაზარზე განვითარებულ მოვლენებს, ახალ ტენდენციებს და კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს იმოქმედოს და განვითარდეს სტუმრების მოთხოვნების შესაბამისად.

კომპანიის მიზანია შეუქმნას კომფორტული ატმოსფერო, როგორც სასტუმროს სტუმრებს, ასევე რესტორნების მომხმარებლებს. ატმოსფეროს, რომელიც პასუხობს მათ მოთხოვნებს. ამ სტრატეგიით მუშაობა კი ახალი იდეების რეალიზაციისა და შემდგომი განვითარების საწინდარი ხდება.

კომპანიის მენეჯმენტი, თბილისის საკმაოდ გაჯერებული სასტუმროების ბაზარზე, სასტუმროს სახელის (ახალი ბრენდი), რეპუტაციისა და ცნობადობის ამაღლების მიზნით აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ტურისტულ კომპანიებთან, სასტუმრო გაწვევრიანებულია მსხვილ საერთაშორისო ელექტრონული დაჯავშნის პორტალებზე (Booking.com, Hotelbeds.com, Expedia.com....), ასევე სასტუმროს მჭიდრო ურთიერთობა აქვს სხვადასხვა სახელმწიფო, თუ კერძო ორგანიზაციებთან, მათთან ჩამოსული სტუმრებისთვის სასტუმრო, საკონფერენციო თუ სარესტორნო მომსახურების გასაწევად. ამ ეტაპზე სასტუმროს მენეჯმენტის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა სასტუმროს ცნობადობის ამაღლება როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო ბაზარზე. ცნობადობის ამაღლება და სანდო პარტნიორის სახელის დამკვიდრება ერთ-ერთი უტყუარი წინაპირობაა, რათა სტუმრების მიერ სასტუმროს ნომრის დაჯავშნა განხორციელდეს სასტუმროს ვებ-გვერდის გამოყენებით, რაც თავისთავად საგრძნობლად შეამცირებს შუამავლებისთვის გადახდილ საკომისიო თანხებს

კომპანიის საკუთრებაში არსებული რესტორნები მომსახურებას უწევენ როგორც სასტუმროსა და საკონფერენციო დარბაზების სტუმრებს, ასევე ნებისმიერ მსურველს. ასევე გაჯერებულ სარესტორნო მომსახურების ბაზარზე კომპანია თავის დამკვიდრებას ცდილობს ეკოლოგიურად სუფთა და უმაღლესი ხარისხის პროდუქციისგან, პროფესიონალი მზარეულების მიერ დამზადებული კერძების საშუალებით. კომპანია 2018 წლიდან ახორციელებს სრულ სარესტორნო და საბანკეტო მომსახურებას მომხმარებლის მიერ მითითებულ ტერიტორიაზე (ე.წ. „ქეითერინგი“).

ჩვენი მიზანი მომხმარებლის ნდობის გამართლება, შენარჩუნება და გაზრდაა

ინფორმაცია ფილიალების შესახებ

კომპანიას არ გააჩნია ფილიალები.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

კვლევა ძიების სამუშაოები არ აქვს კომპანიას საანგარიშგებო პერიოდში.

კომპანიის ძირითადი მიღწევები და ფინანსური შედეგების მიმოხილვა

მოგესხენებათ 2020 წლის მთავარი გამოწვევა ახალი კორონა ვირუსის პანდემიით (COVID-19) გამოწვეული შედეგებთან გამკლავება იყო. პანდემია პირველ რიგში უარყოფითად აისახა სასტუმრო და სარესტორნო მომსახურების სფეროზე (კომპანიის შემოსავალი პანდემიის გამოცხადების შემდეგ არსებითად შემცირდა) და სასტუმროს მენეჯმენტის მთავარი ამოცანა წარმოადგენდა არსებული დანაზოგებით და მცირედი შემოსავლით შეენარჩუნებინა კომპანია გაკოტრებისგან და მიაღწიოს პანდემიის დასრულებას საგრძნობი ზარალის გარეშე. ასევე 2020 წლის განმავლობაში მენეჯმენტის პრიორიტეტი იყო კომპანიაში დასაქმებული თანამშრომლების შენარჩუნება.

2020 წლის მარტში, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე, დაიხურა როგორც სასტუმრო ასევე რესტორნები და მხოლოდ 2020 წლის აგვისტოში განხორციელდა ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული რეგულაციების დაცვით სასტუმროსა და რესტორნების გახსნა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელი ითქვას, რომ კომპანიამ წარმატებულად გაართვა თავი დასახულ ამოცანებს.

კომპანიის მმართველობა და სტრუქტურა

2020, 2019, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორები არიან გენადი იუფიკი და დავით კუპრაშვილი. პარტნიორთა წილი კაპიტალში განისაზღვრება შემდეგნაირად: გენადი იუფიკი - 80% და დავით კუპრაშვილი - 20%.

კომპანიის უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება, რომელიც უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს ნებისმიერ საკითხზე კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებით. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება მიიღება ერთხმად.

შპს ლერმონტ

მმართველობის ანგარიშგება

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

კომპანიის ხელმძღვანელობის და წარმომადგენლობის უფლება აქვს დირექტორს - დავით კუპრაშვილს, რომელიც დანიშნულია პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით.

კომპანიაში მმართველობითი სტრუქტურა მოიცავს შემდეგ განყოფილებებს:

- ა) ადამიანური რესურსების მართვის, ხარისხის კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილება;
- ბ) ფინანსური განყოფილება;
- გ) გაყიდვების განყოფილება;
- დ) მარკეტინგის განყოფილება;
- ე) კვებისა და სასმელების განყოფილება;
- ზ) სამზარეულოს განყოფილება;
- თ) ოპერირების დეპარტამენტი;
- ი) ადმინისტრაციული განყოფილება;

2020, 2019 და 2018 წლებისთვის სასტუმროსა და რესტორნების ფუნქციონირებისათვის კომპანიაში დასაქმებული იყო შესაბამისად, 90, 150 და 140 თანამშრომელი შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე.

კომპანიის მენეჯმენტისთვის ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს წარმოადგენს კომპანიაში დასაქმებულ თანამშრომლებზე ზრუნვა. გარდა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნებისა კომპანია ცდილობს მაქსიმალურად კომფორტული გარემო შეუქმნას მომუშავე პერსონალს. კერძოდ, კომპანიის ყველა თანამშრომელი სარგებლობს ჯანმრთელობის დაზღვევით, ასევე ყველა თანამშრომლისთვის გათვალისწინებულია სამუშაო პერიოდის დროს საკვებითა და სასმელით უზრუნველყოფა, არა სამუშაო საათებში მომუშავე პერსონალს ემსახურება კომპანიის მფლობელობაში არსებული ავტომობილები.

ინფორმაცია წილის და აქციების შეძენის შესახებ

კომპანიაში არ მომხდარა წილის, ან აქციების შეძენა.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ძირითადი გამოწვევები რაც კომპანიას აქვს არის ლიკვიდურობის და სავალუტო რისკები. კომპანია ყოველთვის ცდილობს ვალდებულებები დაფაროს ვადაში ზედმეტი დანაკარგების გარეშე. კომპანიას ყოველთვის აქვს საკმარისი ფულადი რესურსი რათა დააკმაყოფილოს მოსალოდნელი საოპერაციო ხარჯები სამი თვის განმავლობაში. ეს გამოიწვევს ისეთ ექსტრემალურ გარემოებებს, როგორიცაა ფორსმაჟორული სიტუაცია, რისი გონივრული პროგნოზირება შეუძლებელია. ამის ნათელი მაგალითია კოვიდ 19. დაწყებულმა პანდემიამ აზარალა ყველა სფერო, განსაკუთრებით კი სასტუმრო ინდუსტრია. კომპანიამ მაქსიმალურად მოახდინა ხარჯების ოპტიმიზაცია. დაიწყო მოლაპარაკებები მომწოდებლებთან, კრედიტორებთან, თანხების გადახდის გადავადებასთან დაკავშირებით, მოახდინა ხელფასების კორექტირება სიტუაციის შესაბამისად.

2020 წლის ივლისის განხორციელდა სასტუმროს ჯანდაცვის სამინისტროს რეგულაციებთან შესაბამისობის ინსპექტირება. შესაბამისად 2020 წლის აგვისტოდან სასტუმრომ და რესტორნებმა განაახლეს ფუნქციონირება.

რაც შეეხება 2021 წელს - წლის დასაწყისი ზუსტად ისე გამოიყურებოდა, როგორც 2020 წელი და მოლოდინი იყო საკმაოდ პესიმისტური. თუმცა, გადაწყვეტილებამ საზღვრების გახსნასა და ფრენების თანდათანობით აღდგენასთან დაკავშირებით მდგომარეობა უკეთესობისკენ შეცვალა. მოთხოვნა წამოვიდა დასვენების მსურველი მოგზაურობიდან უფრო მეტად, ვიდრე ბიზნეს მოგზაურობიდან. ძირითადი ქვეყნები, საიდანაც დაფიქსირდა სტუმრების რაოდენობის დიდი ზრდა იყო: საუდის არაბეთი, არაბეთის გაერთიანებული ემირატები, ინდოეთი, ისრაელი. 2020 წლის ივნისის მონაცემებით, ივლისში სასტუმროების დატვირთულობა თბილისში მხოლოდ 4%-ს შეადგენდა, მაშინ როდესაც ბათუმში 13% ია, კახეთში კი 28%. სხვადასხვა საერთაშორისო კვლევების თანახმად (McKinsey & Company), საქართველოს ტურიზმი 2019 წლის ნიშნულს 2022 წლის ბოლოსთვის დაუბრუნდება. კომპანია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს შესაბამისობას რეგულაციებთან, ჯანმრთელობის დაცვასა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული კანონების შესრულებას. სწორედ ეს წარმოადგენს კომპანიის ბიზნესის ძირითად კრიტერიუმს.

გარემოს დაცვა და თანამშრომელთა უსაფრთხოება მენეჯმენტის ძირითადი ფასეულობებია. კომპანია თვლის ვალდებულებად გააკონტროლოს და მართოს მისი საქმიანობა, რათა უზრუნველყოს თანამშრომლების, მომხმარებლებისა და საზოგადოების უსაფრთხოება. კომპანია აკონტროლებს ამ პროცესთან დაკავშირებულ რისკებს მათი შემცირების მიზნით. ფულადი ნაკადების, სახსრების გადახედვა ხდება ყოველთვიურად რათა თავიდან იყოს აცილებული ლიკვიდურობის რისკი. კერძოდ, ყოველი თვის დასაწყისში ხორციელდება წინა თვის

შპს ლერმონტ

მმართველობის ანგარიშგება

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

შედეგების (ADR, REVPAR, OCCUPANCY,) შემოწმება და შედარება დაგეგმილ ბიუჯეტთან. ასევე ყოველთვიურად ტარდება საკვები პროდუქტების, სასმელების და სხვა საქონლის ინვენტარიზაცია.

კომპანიის შიდა მონიტორინგის და გაყიდვების სამსახური დამატებით მიმოიხილავენ რისკების მართვის პოლიტიკას, პროცესებს და წარუდგენენ კომპანიის მენეჯმენტს თავის მოსაზრებას.

ასევე სასტუმროს ძირითადი რისკებად შეიძლება განვიხილოთ:

სტუმრებისა და პერსონალის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და პირადი ქონების დაცვა, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოება, მოზინადრეთა და პერსონალის სწრაფი ევაკუაცია, მოზინადრეთა სიცოცხლისა და პირადი ქონების დაცვა, სასტუმროში შეღწევის შეზღუდვა, ვიდეო კონტროლი, ასევე მოზინადრეთა კვებასა და სასმელ წყალზე უსაფრთხოება, ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფა.

რისკის მართვა:

ყოველივე ზემოაღნიშნულის მისაღწევად სასტუმროს გააჩნია 24 საათიანი ცოცხალი დაცვა. დაცვის ყველა თანამშრომელი სისტემატურად გადის ტრენინგებს, როგორც პირველადი დახმარების აღმოჩენის საკითხებში, ასევე საგანგებო სიტუაციებში მოქცევის წესების დასაცავად. სასტუმრო აღჭურვილია ვიდეო სამეთვალყურეო კამერებით, უახლესი ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებით, ასევე ხელშეკრულება გაფორმებული გვაქვს სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან“, რათა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებლობა გვქონდეს დამატებითი საპოლიციო ძალების მობილიზაცია.

სტუმრებისთვის უმაღლესი ხარისხის საკვების და სასმელის მისაწოდებლად სასტუმრო თანამშრომლობს მხოლოდ შესაბამისი სერტიფიკატების მქონე დისტრიბუტორებთან. ასევე კომპანია თითქმის ყოველდღიურად ახორციელებს სხვადასხვა დასახელების ეკოლოგიურად სუფთა უმაღლესი ხარისხის პროდუქტების შეძენა-ტრანსპორტირებას საქართველოს რეგიონიდან (ძირითადად იმერეთი).

რისკის იდენტიფიცირება:

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროცესი რაც სასტუმროსა და სარესტორნო ინდუსტრიაში შეიძლება განვიხილოთ არის კომპანიის სახელის (ბრენდი) დაცვა და უფრო მყარად დამკვიდრება, როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო ბაზარზე. რაც გულისხმობს პროცესის, იდეის ან იმიჯის ბაზარზე ისე წარმოდგენას, როდესაც მომსახურება და პროდუქტი უფრო და უფრო მეტი ადამიანისთვის ხდება ცნობილი და გამორჩეულად ხდება იდენტიფიცირება ამ კონკრეტული კომპანიისა.

რისკის მართვა:

კომპანიას ხელმძღვანელობა გამუდმებით მუშაობს არა მხოლოდ ბრენდის ცნობადობის გაზრდისთვის, არამედ მისი რეპუტაციისა და გარკვეული სტანდარტების დამყარებისთვის. ასე მაგალითად, კომპანია მუდმივად ზრუნავს მისი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე, რაც გულისხმობს როგორც რესტორნებისა და სამზარეულოს პერსონალის გადამზადებას, ასევე სასტუმროს მომსახურე პერსონალის უნარ-ჩვევების გაღრმავებასა და მსოფლიოში წამყვან სასტუმრო ინდუსტრიაში არსებული სტანდარტებთან გათანაბრებას.

ფინანსური რისკები

კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები, რომლის შესახებაც დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში.

კორონავირუსის გავრცელების პოტენციური ეფექტები

კორონავირუსის შედეგები შეიძლება იყოს ძალიან ფართოდ გავრცელებული და ბევრ ინდუსტრიას შეეხო. კორონავირუსის გავრცელებამ განსაკუთრებით დააზიანა ტურიზმის სექტორი, რაც გამოწვეულია გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვებით და სხვა რეგულაციებით. ვირუსის ზუსტი ეფექტის განსაზღვრა კომპანიის ხელმძღვანელობისთვის შეუძლებელია, რადგან დროის მიმდინარეობასთან ერთად ვირუსის განვითარება და ეფექტი ცვალებადია. პანდემიის მიმდინარეობის არასასურველი განვითარება წარმოადგენს მნიშვნელოვან რისკს კომპანიისთვის.

კომპანიის ხელმძღვანელობამ უარყოფითი ეფექტების შემცირების მიზნით გადადგა რამდენიმე ნაბიჯი:

- ხარჯების ოპტიმიზაცია;
- საერთაშორისო ტურიზმზე დაწესებული შეზღუდვების პერიოდში შიდა ტურიზმზე ორიენტაცია;
- კორპორაციული შეთავაზებების გაფართოება;

შპს ლერმონტ

მმართველობის ანგარიშგება

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

- ახალი ბაზრების მოძიება ე.წ „მწვანე ზონის ქვეყნებში“.

კომპანიის მენეჯმენტის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 6 იანვარს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

დავით კუპრაშვილი

ფინანსური მენეჯერი

ვასილ მარდალეიშვილი

შპს ლერმონტ

მმართველობის ანგარიშგება

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

- ახალი ბაზრების მოძიება ე.წ „მწვანე ზონის ქვეყნებში“.

კომპანიის მენეჯმენტის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 6 იანვარს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი


დავით კუპრაშვილი

ფინანსური მენეჯერი


ვასილ მარდალავიშვილი